

თ) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების დაწესებულებაში თავისუფალი ორიენტაციისა და გადაადგილების, აუცილებელი საჭიროებების დაკმაყოფილების და სხვა დახმარების გაწევის უზრუნველყოფა.

ი) უსაფრთხოების მექანიზმებთან დაკავშირებული სხვა ფუნქციების შესრულება;

კ) უნივერსიტეტში დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით სხვა უფლებამოსილებების განხორციელება და უნივერსიტეტის რექტორის ცალკეული დავალებების შესრულება.

ლ) მოქმედი კანონმდებლობით და უნივერსიტეტის მართვის ორგანოების სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელება.

5. დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური შედგება სამსახურის უფროსის და სპეციალისტი/სპეციალისტებისგან. ცალკეული ფუნქციების გადანაწილებას სამსახურის თანამშრომლებს შორის ახდენს სამსახურის უფროსი.

მუხლი 25. ინფორმაციული ტექნოლოგიების და ლოჯისტიკის სამსახური

1. უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური არის უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეული, რომელიც განსაზღვრავს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკას და უზრუნველყოფს ინრასტრუქტურის კეთილმოწყობას;

2. უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ლოჯისტიკის სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი, სამსახურში შედიან სპეციალისტი/სპეციალისტები, რომელთა შორის ველდებულებების გადანაწილებას ახორციელებს სამსახურის უფროსი;

3. სამსახურის ძირითადი ფუნქციებია:

ა) უნივერსიტეტის ბიზნესპროცესების უწყვეტობის მიზნით, ინფორმაციული ტექნოლოგიების გამართულად მუშაობის უზრუნველყოფა და რისკების მართვა;

ბ) უნივერსიტეტის ქსელური ინფრასტრუქტურის მუდმივ გაუმჯობესებაზე ზრუნვა;

გ) უნივერსიტეტის ვებ-გვერდის მომსახურების უზრუნველყოფა;

დ) ინფორმაციული ტექნოლოგიებით სარგებლობასთან დაკავშირებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება, ინფორმაციული ტექნოლოგიებით სარგებლობის სტუდენტებისა და პერსონალისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

ე) მართვის ელექტრონული სისტემებისა და სერვისების გაუმჯობესებაზე ზრუნვა;

ვ) ინტერნეტის მიწოდების უწყვეტობის მექანიზმების შემუშავება, ალტერნატიული წყაროს უზრუნველყოფა;

ზ) სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ცალკეული დავალებების საჭიროების მიხედვით შესრულება;

თ) სტრუქტურული ერთეულების/პირების საჭიროებიდან გამომდინარე შუამდგომლობს რექტორის წინაშე იმ სახსრებისა და მატერიალური საშუალებების გამოყოფის თაობაზე, რომლებიც საჭიროა სტრუქტურული ერთეულების საქმიანობისთვის და უნივერსიტეტის მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად;

ი) ასრულებს ამ დებულებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებისა და დავალებების შესრულება.

4. სამსახურის უფროსი უნივერსიტეტის რექტორის დავალებით სამსახურის მუშაობის შესახებ წარადგენს ანგარიშს;

5. ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური შედგება სამსახურის უფროსის და სპეციალისტი/სპეციალისტებისგან. ცალკეული ფუნქციების გადანაწილებას სამსახურის თანამშრომლებს შორის ახდენს სამსახურის უფროსი.

მუხლი 26. კარიერული მხარდაჭერის ცენტრი

1. კარიერული მხარდაჭერის ცენტრი არის უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეული, რომლის მიზანია უნივერსიტეტის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა პროფესიული ორიენტაციის, დასაქმებისა და კარიერული განვითარების ხელშეწყობა.

2. კარიერული მხარდაჭერის ცენტრის ფუნქციებია:

ა) პოტენციურ დამსაქმებელთა შესახებ ინფორმაციის მოძიება და შესაბამისი ბაზების შექმნა;

ბ) უნივერსიტეტის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისთვის დასაქმების შესაძლებლობებთან და ვაკანსიებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდება.

გ) ბაზრის კვლევის ანალიზის საფუძველზე საჭიროებების, დინამიკისა და პერსპექტივების განსაზღვრა. მიღებული ინფორმაციის უნივერსიტეტის სტუდენტების და კურსდამთავრებულებისთვის, ასევე შესაბამისი სკოლის ხელმძღვანელებისთვის გაზიარება.

დ) კარიერის ცენტრი, შესაბამისი სპეციალისტების მეშვეობით, უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ინდივიდუალურ და ჯგუფურ კონსულტაციებს პროფესიულ ორიენტაციასთან, დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე (სამუშაოს ძიების გზებთან, დამსაქმებელთან ინტერვიუსთან, CV, სამოტივაციო წერილისა და სამუშაოს ძიების პროცესში საჭირო სხვა დოკუმენტების შედგენასთან დაკავშირებით და სხვა).

3. კარიერის ცენტრი თანამშრომლობს დასაქმებასთან დაკავშირებულ სახელმწიფო, კერძო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მათთან შეხვედრებისა და კონსულტაციების გამართვის, შესაბამის ღონისძიებებში მონაწილეობის მიღების გზით.

4. კარიერული მხარდაჭერის ცენტრის საქმიანობა რეგულირდება კარიერული მხარდაჭერის ცენტრის დებულებით.

მუხლი 27. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის სამსახური

1. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის სამსახური წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს, რომლის კომპეტენციაში შედის:

ა) საჭიროების შემთხვევაში პირველადი დახმარების აღმოჩენა უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პერსონალისათვის;

ბ) ინფექციური თუ ვირუსული დაავადების გავრცელების ან გავრცელების თავიდან აცილების მიზნით უფასო სამედიცინო კონსულტაციებისა და დახმარების გაწევა უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პერსონალისათვის;

2. სამსახურს ხელმძღვანელობს ექიმი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი;

3. ექიმი ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის წინაშე და ასრულებს მოქმედი კანონმდებლობისა და ამ დებულების საფუძველზე დაკისრებულ მოვალეობებს.

4. სამსახურის ექიმის ფუნქციებია:

ა) სამსახურის საქმიანობის ხელმძღვანელობა და წარმართავა;

- ბ) სასწრაფო დახმარების გამოძახება საჭიროების შემთხვევაში;
- გ) სამედიცინო მგომარეობის შესახებ სამედიცინო ცნობის გაცემა სტუდენტების სასწავლო პროცესიდან გათავისუფლების მიზნით;
- დ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმებთან დაკავშირებული სხვა უფლებამოსილებების აღმოჩენა;
- ე) უნივერსიტეტის რექტორის დავალებით სამსხურის მუშაობის შესახებ ანგარიშის წარადგენა;
- ვ) შუამდგომლობა იმ სახსრებისა და მატერიალური საშუალებების გამოყოფის თაობაზე, რომლებიც საჭიროა სამსახურის საქმიანობისთვის და ამოცანების შესასრულებლად;
- ზ) სამედიცინო დახმარების მიზნით საჭირო მედიკამენტების აღრიცხვა, შენახვა და ვადაგასული მედიკამენტების ჩამოწერა.
- თ) ორგანიზებისგაწევა ამ დებულებით სამსახურისათვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებისთვის, რისთვისაც უნივერსიტეტის რექტორსწარუდგენს წინადადებებს ცალკეული საკითხების მოწესრიგებისა და გადაწყვეტის მიზნით;
- ი) ამ დებულებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებისა და დავალებების შესრულება.

მუხლი 28. ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული - სკოლა

1. უნივერსიტეტი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული - სკოლა, არის ძირითადი სასწავლო-სამეცნიერო და ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას ერთ ან რამდენიმე სპეციალობაში და მათთვის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებას;
2. უნივერსიტეტის სკოლებია:
 - ა) სამართლის, ბიზნესის და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლა;
 - ბ) ჯანდაცვის სკოლა;
3. სკოლის შექმნის, რეორგანიზაციის ან გაუქმების შესახებ, წინადადებას წარადგენს აკადემიური საბჭო და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს;
4. სკოლის მართვის ორგანოებია: სკოლის საბჭო, დეკანი.

მუხლი 29. სკოლის დეკანი

1. სკოლის საქმიანობას ხელმძღვანელობს სკოლის დეკანი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.
2. სკოლის დეკანი:
 - ა) თავმჯდომარეობს სკოლის საბჭოს სხდომებს;
 - ბ) სტუდენტისათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭებისთვის სკოლის საბჭოს წარუდგენს იმ სტუდენტთა სიას, რომლებმაც შესაბამისი საფეხურისთვის დააგროვეს კანონმდებლობით დადგენილი და პროგრამით განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა;
 - გ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია აკადემიური საბჭოს, რექტორის გადაწყვეტილებების შესრულებაზე;
 - დ) ვალდებულია, ყოველწლიურად ანგარიში ჩააბაროს აკადემიურ საბჭოს, გაწეული მუშაობის შესახებ;

- ე) აწარმოებს მონიტორინგს სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე, სტუდენტთა დასწრებასა და მათ აკადემიურ მოსწრებაზე;
 - ვ) მეთვალყურეობს სკოლაში დასაქმებულთა მიერ უფლებამოსილებების განხორციელებას, ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შესრულებასა და დაწესებულების შინაგანაწესის დაცვას. ანაწილებს ფუნქციებს სკოლის თანამშრომლებს შორის, აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს;
 - ზ) კოორდინაციას უწევს სტუდენტების პირადი საქმის წარმოებას. პასუხისმგებელია სკოლის მიერ მომზადებული დოკუმენტაციის (შეფასების უწყისი, სტუდენტის აკადემიური მოსწრების უწყისი, აკადემიური ცნობა და სხვა) მომზადებასა და რექტორისათვის ხელმოსაწერად წარდგენაზე;
 - თ) მობილობის კომისიასთან ერთად პასუხისმგებელია მობილობის წესით გადმოსასვლელი სტუდენტების დოკუმენტაციის შემოწმებაზე, მომზადებაზე, საგანმანათლებლო პროგრამების თავსებადობის დადგენაზე;
 - ი) შუამდგომლობს რექტორთან სტუდენტის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტისა და მობილობის გამოცხადების თაობაზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად;
 - კ) მონაწილეობს მიღებული განათლების აღიარების პროცედურებში;
 - ლ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, ამ დებულებით, შესაბამისი სკოლის დებულებითა და უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.
3. სკოლის საბჭოს უფლებამოსილება ფორმირების, უფლებამოსილების და მუშაობის პროცედურა განისაზღვრება შესაბამისი სკოლის დებულებით.

მუხლი 30. სტომატოლოგიური კლინიკა

1. სტომატოლოგიური კლინიკა წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც დიპლომისშემდგომი განათლების (რეზიდენტურა) და დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის კლინიკური ბაზით და პროგრამების ფარგლებში სასწავლო პრაქტიკის სილაბუსით განსაზღვრული სასწავლო პრაქტიკის კომპონენტის ათვისებას უზრუნველყოფს.
2. დიპლომისშემდგომი განათლების (რეზიდენტურა) და დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული და შესაბამისი სილაბუსის საფუძველზე უზრუნველყოფს სასწავლო პრაქტიკული კურსის რეალიზაციას, რაც თავის მხრივ ორიენტირებულია გამოუმუშაოს პირს პრაქტიკული სათანადო პროფესიული უნარ-ჩვევები;
3. სტომატოლოგიური კლინიკის საქმიანობა, ფუნქციები და სხვა უფლებამოსილებები განისაზღვრება სტომატოლოგიური კლინიკის დებულებით.

მუხლი 31. სტუდენტური თვითმმართველობა

1. უნივერსიტეტის სტუდენტებს, უფლება აქვთ თანასწორი და დამოუკიდებელი არჩევნების საფუძველზე ჩამოაყალიბონ სტუდენტური თვითმმართველობა.
2. სტუდენტური თვითმმართველობის მიზანია, უნივერსიტეტის სტუდენტების უნივერსიტეტის საქმიანობის დაგეგმვის, წარმართვისა და შეფასებაში ჩართვა, უნივერსიტეტის პერსონალსა და სტუდენტებს შორის კომუნიკაციის უშუალო ფორმის უზრუნველყოფით, სტუდენტური ინიციატივების წახალისება.

3. სტუდენტური თვითმმართველობა უფლებამოსილია:

- ა) შეიმუშაოს წინადადება საგანმანათლებლო პროგრამის, სასწავლო პროცესის ორგანიზების, დაწესებულების ადმინისტრაციული საქმიანობის ან სტუდენტური სერვისების განვითარების მიზნით;
- ბ) მოახდინოს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მუშაობის შეფასება, რომლის შედეგები გამოქვეყნოს საჯაროდ;
- გ) წამოაყენოს წინადადება პრაქტიკული, კვლევითი, კულტურული ან სპორტული ღონისძიების ორგანიზებისა ან ორგანიზებული ღონისძიების მხარდაჭერის თაობაზე;
- დ) იზრუნოს უნივერსიტეტის ცნობადობის ამაღლებაზე;

4. სტუდენტური თვითმმართველობის მუშაობის ორგანიზაციული საკითხები განისაზღვრება თავად თვითმმართველობის მიერ.

5. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია უფლებამოსილია მიიღოს და დააფინანსოს სტუდენტური თვითმმართველობის მიერ წამოყენებული პროექტი, ან გამოყოს დაფინანსება, რომლის განკარგვა თვითმმართველობას შეუძლია თავისი გადაწყვეტილებით შემუშავებული პროექტის დასაფინანსებლად.

6. უნივერსიტეტის თვითმმართველობის ჩამოყალიბების/არჩევის წესი განისაზღვრება თვითმმართველობის დებულებით;

მუხლი 32. აკადემიური პერსონალი

1. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორებისა და ასისტენტებისგან.

2. პროფესორთა შემადგენლობას მიეკუთვნება:

- ა) პროფესორი;
- ბ) ასოცირებული პროფესორი;
- გ) ასისტენტ-პროფესორი.

3. პროფესორი არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის პირი, რომელიც უძღვება სასწავლო პროცესს და ხელმძღვანელობს სტუდენტების სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას.

4. ასოცირებული პროფესორი არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის პირი, რომელიც მონაწილეობს სასწავლო პროცესში და ხელმძღვანელობს სტუდენტების სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას.

5. ასისტენტ-პროფესორი არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის პირი, რომელიც თავისი კომპეტენციის შესაბამისად მონაწილეობს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით მეცადინეობებში.

6. ასისტენტი - არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის პირი, რომელიც პროფესორის ხელმძღვანელობით ახორციელებს სასემინარო და კვლევით აქტივობებს, შესაბამისი პროფესორის მიერ განსახორციელებელ სასწავლო კურსის/პროცესის ფარგლებში.

მუხლი 33. აკადემიური თანამდებობის დაკავება

1. აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი განისაზღვრება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით და უნივერსიტეტის „აკადემიური თანამდებობის დაკავების წესის“ შესაბამისად;

2. აკადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.

მუხლი 34. უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსი

1. უნივერსიტეტის სტუდენტი არის პირი, რომელიც კანონმდებლობით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს უნივერსიტეტში ქართულ ენაში მომზადების პროგრამის, საბაკალავრო, ერთსაფეხურიანი ან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების გავლის მიზნით;
2. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, აღდგენის, შეწყვეტისა და მობილობის წესი განისაზღვრება უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად.

მუხლი 35. სტუდენტის უფლებები და ვალდებულებები

1. უნივერსიტეტის სტუდენტს უფლება აქვს:
 - ა) მიიღოს ხარისხიანი განათლება;
 - ბ) მონაწილეობა მიიღოს მეცნიერულ კვლევაში;
 - გ) თანაბარ პირობებში ისარგებლოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;
 - დ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღოს ინფორმაცია უნივერსიტეტის საქმიანობის შესახებ;
 - ე) მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება;
 - ვ) თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და დასაბუთებული უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომელსაც სთავაზობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას. წარმოადგინოს დასაბუთებული წინადადებები, სამართლიანი, ობიექტური და კრიტიკული შენიშვნები ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების უფროსთან საგანმანათლებლო პროგრამის, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და სხვა აქტუალურ საკითხებზე, რომელიც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას;
 - ზ) აირჩიოს საგანმანათლებლო პროგრამა;
 - თ) მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში;
 - ი) პერიოდულად მოახდინოს უნივერსიტეტის პერსონალის მუშაობისა და სასწავლო პროცესის შეფასება;
 - კ) თავისუფლად დააფუძნოს ან/და გაერთიანდეს სტუდენტურ ორგანიზაციებში/ თვითმმართველობებში თავისი ინტერესების შესაბამისად;
 - ლ) ისარგებლოს მობილობის/შიდა მობილობის უფლებით მოქმედი კანონმდებლობითა და დაწესებულებაში დადგენილი წესის შესაბამისად;
 - მ) მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის მიერ გამართულ სხვადასხვა ღონისძიებებში;
 - ნ) უნივერსიტეტისგან მოითხოვოს მისი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად შესაბამისი ღონისძიებების გატარება;
 - ჟ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილება;
2. სტუდენტი ვალდებულია:
 - ა) უნივერსიტეტის მიერ დადგენილი პროგრამის მიხედვით ისწავლოს ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი;
 - ბ) დაიცვას უნივერსიტეტის დებულება, შინაგანაწესი და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა ასამართლებრივი აქტების მოთხოვნები;

3. უნივერსიტეტი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის ქმნის აუცილებელ პირობებს მათი სრულფასოვანი განათლებისათვის, რაც შეიძლება გამოიხატოს მათთვის სპეციალური მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, შენობაში გადაადგილების ხელშეწყობაში თუ სხვა შეღავათების დადგენაში;
4. სტუდენტის სტატუსთან და სასწავლო პროცესის ორგანიზება/წარმართვასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
5. სტუდენტის დისციპლინურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება უნივერსიტეტის ეთიკისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის კოდექსით.

მუხლი 36. საგანმანათლებლო პროგრამები და განათლების საფეხურები

1. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს უმაღლესი აკადემიური განათლების პირველი ორი საფეხურის (ბაკალავრიატი და მაგისტრატურა, აგრეთვე ერთსაფეხურიანი უმაღლესი განათლების პროგრამები) საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას;
2. ბაკალავრიატი არის აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს შესაბამისი სპეციალობის საფუძვლების სწავლებას, რაც აუცილებელია პირის მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის და მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისათვის.
3. მაგისტრატურა არის აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს სამეცნიერო კვლევის ელემენტებს და მიზნად ისახავს ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის ან მკვლევრის მომზადებას, აგრეთვე პირს ამზადებს მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის.
4. ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა არის სამედიცინო/სტომატოლოგიური მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მთავრდება დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკადემიური ხარისხის მინიჭებით. ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის გავლის შედეგად მინიჭებული აკადემიური ხარისხი გათანაბრებულია მაგისტრის აკადემიურ ხარისხთან.
5. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა არის სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამა, რომლითაც ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი, აფხაზურენოვანი, ოსურენოვანი და სომხურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული საქართველოს მოქალაქეების მიერ ქართულ ენაში უნარ - ჩვევებისა და ცოდნის (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი) იმ დონეზე შეძენა, რომელიც აუცილებელია ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის გასაგრძელებლად. აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის გავლის უფლება აქვთ იმ პირებსაც, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხებიან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ;
6. უმაღლესი განათლების თითოეული საფეხურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები გაანგარიშებულია კრედიტებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული წესით.
7. დაწესებულებამ შეიძლება განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, სასერტიფიკატო პროგრამები და სასერტიფიკატო კურსები კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კონკრეტული პროგრამის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წინაპირობების (ავტორიზაცია, აკრედიტაცია) შესრულების შემთხვევაში.

მუხლი 37. დიპლომის გაცემა

1. აკადემიური ხარისხს მინიჭება ხდება საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო კომპონენტების დაძლევისა და დაგროვილი კრედიტების იმ რაოდენობის საფუძველზე, რომელიც შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით საკმარისია სწავლების მოცემული საფეხურის დასასრულებლად.
2. აკადემიური ხარისხის მინიჭებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო ერთეული - სკოლის საბჭო.
3. უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის დამთავრებისას უნივერსიტეტი გაცემს შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს - დიპლომს დანართთან ერთად კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;
4. დიპლომის დანართი არის დოკუმენტი, რომელსაც დიპლომთან ერთად გაცემს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სტუდენტის მიერ მიღებული განათლების შინაარსის და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მისთვის მინიჭებული კვალიფიკაციის დასადასტურებლად;
5. პირს, რომელმაც არ ან ვერ დაასრულა მოცემული საგანმანათლებლო საფეხური, მოთხოვნის შემთხვევაში ეძლევა სათანადო ცნობა.

მუხლი 38. საკანონმდებლო ცვლილებების მიმართება დებულების ნორმებთან

1. წინამდებარე დებულებაში მოყვანილი ნორმები გამოიყენება იმ შემთხვევაში თუ ისინი შეესაბამებიან, ავსებენ, ან/და არ ეწინააღმდეგებიან საქართველოს შესაბამის მოქმედ კანონმდებლობას.
2. იმ შემთხვევაში თუ კანონმდებლობის იმპერატიული ნორმები სხვაგვარად არეგულირებენ მოცემულ საკითხს, კანონმდებლობის ნორმებს პრიორიტეტი აქვს ამ დებულების ნორმებზე, უნივერსიტეტის ყველა თანამშრომლისათვის.
3. იმ შემთხვევაში თუ კანონმდებლობაში შესული ცვლილების გათვალისწინებით, კონკრეტული საკითხი სხვაგვარად არის მოწესრიგებული, ვიდრე ის გათვალისწინებულია ამ დებულების ნორმებით, დებულების ცვლილებამდე გამოიყენება კანონის შესაბამისი ნორმა.

მუხლი 39. უნივერსიტეტის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

1. უნივერსიტეტის, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია განისაზღვრება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესითა და ფორმით.